572
977

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1977 მაისი N5

ყოველ

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი მაისი

გიორგი ქუჩიშვილი

დღეს პირველი მაისია
და პირველი გაზაფხული,
წითელ-წითელ ყვავილებით
მორთული და მოკაზმული.

დღეს უქმეა, შრომის უქმე,
ბრწყინვალე და დიდებული:
მოდის სალხი, მოგუგუნებს
ერთ დროშის ქვეშ დარაზმული.

გაუმარჯოს პირველ მაისს,
გაუმარჯოს ჩვენს ერთობას.
გაუმარჯოს სალხთა შორის
მტკიცე კავშირს, მტკიცე ძმობას.

ცხრა მაისი

ჯანსულ ჩარკვიანი

დროშები, დროშები, ასწიეთ ზე,
იცინის მიწა და იცინის მზე.
მაისი ეწვია ბალებს და ზვრებს,
სულ გამარჯვებებით
გვიდაფნავს გზებს.

სიმღერის გუგუნი ქვეყანას ძრავს,
ადიდებს გმირობას,
ნამდვილს და ცხადს,
დიდება, მამულო, შენს ლამაზ ცას,
დიდება მამულო, მაისის ცხრას!

ნახატი **ზაურ დეისაძისა**

წყარო

კლავდია დევდარიანი

ნახატები **თამაზ ხუციშვილისა**

23492

სულ პატარა წყარო ვარ. დედამიწის გულს თავი დავაღწიე. მიწა გავთხარე და შიგ მოვიკალათე. დედამიწიდან განუწყვეტლივ მოვჩუხჩუხებ. სავალი გავიკეთე, დალმართისაკენ დავეშვი, მივდივარ და მივიმღერი სიცოცხლისა და სიხარულის სიმღერას.

გზაზე ვეებერთელა ლოდი შემომეყარა, შემომიტია:

— აქ რა გინდა?

— გზა მინდა გავიკვლიო!

— ერთი ამას დამიხედე, გზა უნდა გაიკვლიოს!— გამაჯავრა ლოდმა,—ჩემთან შეჭიდება არ გამოგადგება, მოუსვი აქედან!—დამიცაცხანა.

— ჩემი მოდგმა ხელწამოსაკრავი არ გეგონოს. წყლის წვეთს კლდეც კი გაუკვეთია!

— აქ არ დაგინახო მეორედ!—გაიჯგიმა ლოდი,—გზაზე გადამეღობა.

აყალმაყალის თავი სადა მქონდა, პატარა უწყინარი წყარო ვარ. ლოდს გარშემო შემოვუარე. პატარა ქვებს თავზე გადავახტი და დალმართზე დავეშვი.

იმ წელს ნაადრევი გაზაფხული დაიჭირა. მთაწმინდის მიდამომ ადრიანად გაიღვიძა.

ვენაცვალე მზეს და მის მადლს. ცხრათვალი დაჭყიტა და ყინვას კუდით ქვა ასროლინა, კუდამოძუებული, ფაცხაფუცხით გააგდო. მეც, რაკი ყინულის ტყვეობას თავი დავაღწიე, გაგიხარიათ, გავთამამდი,—მოვუსვი, მაგრამ რა მოვუსვი, შეიქმნა ფაციფუცი. ყველა თავის საქმეს ეშურება. ხშირად რჩევისათვის მომმართავენ: მთელი ზამთარი აქაურობას არ მოვცილებივარ, არც თვალი მომიხუჭავს; აბა, ჩემზე უკეთეს მრჩეველს სად იშოვიან.

პატარა ჩიტი მომიახლოვდა. წვრილ ფეხებზე ოდნავ ქანაობს და მორიდებით მეუბნება:

— გამარჯობა!

— მუდამ გამარჯვებით იარე, ჩემო კარგო!— გამახარა პატარა მგალობლის დანახვამ. მთაწმინდის მიდამო უხსოვარი დროიდან ბულბულებითა და შაშვებით არის სავსე. ბულბული ლოდს ამოეფარა, იქ, სადაც დილის მზე ყველაზე მეტად ანათებს და ჩემი ვეებერთელა მორევია, ბანაობა დაიწყო. პატარა ფრთებს აფართხუნებს, ცივ წყალში თავს ყოფს, ტანზე ისხამს, გახარებული, აღტაცებული ჭყლოპინებს.

— როგორ ხარ, მეგობარო?—შემომჭახჭახა ვეე-

კ. მარქსის სახ. საქ. სსრ
სახელმწიფო რ. ს. ბიბლიოთ.
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბერთელა შაშვმა.

— სადა ხარ, სად დამეკარგე?

— ბუდისათვის ადგილს ვეძებ!

— აგერ ნუში, მაგაზე უკეთეს ადგილს სად იშოვნი?—მივუთითე ჩემს გვერდით ახალგაზრდა ნუშზე.

— ბოროწეული მირჩევნია, უფრო უშიშარია!

— ბოროწეული აქ ახლოს არსად არის!—შევწუხდი მე.—შენც ამ ნუშზე გაიკეთე ბუდე!—მივუბრუნდი ახლა ბულბულს.

იმ დღეს დილით ადრე გავიღვიძე. მზემ აღმოსავლეთი ააფერადა. მთაწმინდის ტაძრის გუმბათი მზის სხივებზე აელვარდა. ამომავალ მზეს თვალები გავუსწორე. რა კარგად ამოდის მზე.

ამოდის მზე და დგება მშვენიერი დილა. უჩვეულო ხასიათზე დავდექი. გული მიფართხალებს და სიხარული მეუფლება. სიცილ-კისკისი ამიტყდა. დალმართზე დავეშვი. პატარა ნუშმა პირველი ყვავილები ამოიღო. თეთრი მანდილით მოირთო, ისეთი ლამაზია, ავ თვალს არ ენახვება.

— როგორ გალამაზებულხარ, მეგობარო, რა რიგ დამშვენებულხარ!

ნუშმა აყვავებული ქოჩორი შეარხია, ყელი მოიღერა და ისიც აკისკისდა. შაშვმაც თავისი ხმა შემოგვაწია, შორიდან ბულბულის სტვენა მოგვწვდა, სიომაც დაგვირბინა, ყველას გაზაფხული და მშვიდობის დილა მოგვილოცა.

უეცრად უჩვეულო გრიალმა მთაწმინდის მიდამო შეარყია. შეშინებულებმა ერთმანეთს გადავხედეთ, ენა მუცელში ჩაგვივარდა.

— რა არის?

— რა ამბავია?

— რა მოხდა?—აჩურჩულდა ყველა.

კურდღელმა მოირბინა, აღშფოთებულმა შემოგვძახა:

— გაიქეცით, გაიქეცით, თავს ვუშველოთ, ადამიანები მოდიან, ადამიანები!

— კეთილი იყოს მათი მობრძანება, განა ცოტა მათგანისათვის მომიკლავს წყურვილი!—ამაყად გადავხედე დამფრთხალ ბაჭიას.

— ყველაფერს თხრიან, ვეებერთელა მანქანებით მოდიან; მიწას აბრუნებენ!—ვერ ისვენებს ბაჭია, შეშინებული უკან იხედება. მთელი ტანით ცახცახებს.

— ადამიანებს გზა გაჰყავთ, ხალხო, გზა!—ჩამოგვჭყივლა მერცხალმა და გზა განაგრძო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გზა გაჰყავთ!

— გზა გაჰყავთ!—ავიტაცეთ მერცხლის ნათქვამი და აურზაური ავტეხეთ. კურდღელმა გოოცებით შემოგვხედა.

— მე კი ადამიანის მეშინია!— მოგვახალა და მოკურცხლა.

— მეც მეშინია ადამიანის!—ჩაიჩურჩულა ბულბულმა.

— მე არ მეშინია!—შემოვკარი ტაში.

აყვავებულმა ნუშმა თვალები დააჭყიტა, არ იცის გაეხარდეს თუ ეწყინოს ადამიანების გამოჩენა.

ხმაური თანდათან ახლოვდება.

ადამიანები, ადამიანები.

ადამიანები შემოგვესივნენ, ყიჟინი, ხმაური, მანქანების გრიალი ერთმანეთში აირია. აყვავებულ ნუშს მივარდნენ.

— რა ლამაზია!

— რა ლამაზად აყვავებულა!

— ამ ტოტს სახლში წავიღებ!—თქვა ერთმა და აყვავებულ ნუშს რტო შეატეხა.

მთელი ღამე ვტიროდით მე და პატარა ნუში. ტიროდა ბულბულიც პატარა ნუშის სატირალს.

დილით ადრიანად ადამიანები ისევ მოვიდნენ მანქანებით, წერაქვებით, ბარებით, ლომებით.

ჩვენ აღარ გვიხარია მათი მოსვლა.

— აქ წყაროც ყოფილა! წამომადგა თავზე ხელებწაკარწახებული ჭაბუკი. დაიჩოქა და დამეწაფა.—ჰო, ჰო, რა ცივი ყოფილა!—დანარჩენებიც მოვიდნენ, ყველამ შემაქო. მე აღარ მიხარია მათი შექება. მთელი ტანით ვკანკალებ.

— ნუ დავკარგავთ ამ წყაროს!—თქვა მოსულმა ვაჟკაცმა და ჩემი წყალი სახეზე შეისხა.

— აბა, რა, სახლში წავიღოთ?—იხუმრა მეორემ.

— გვერდი ავუაროთ!

— რას ამბობ, ადამიანო, პროექტი ასეა!

— პროექტის შემდგენელმა, რა იცოდა, აქ რომ წყარო იყო!

— იცოდა, არ იცოდა,—აქ არაფერ შუაშია, შარს არ გადამკიდო! წყლის ამბავი არ იცი? ამ გზას ერთ წელიწადში გაანადგურებს.

ვხედავ—ჩემი ბედი წყდება, ნეტა რას მიპირებენ!

— თქვენ რა ბჭობა გამართეთ, მოაყენეთ მანქანა!

მოგრიალდა მანქანა, დამეძგერა, თვალთ დამიბნელდა, გონება დავკარგე, ალბათ კარგახანს ვიყავი უგონოდ. თვალი რომ გავახილე გარშემო უკუნეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიბნელე იყო. დაღამებულა? არა, ეს ღამე არ არის. ზაფხულში ასეთი უკუნი ღამე? თვალი დავაჭყიტე. დავბრმავდი? არა, დაბრმავებული არა ვარ. მაშ, რა არის ეს ჯოჯოხეთური სიბნელე? რა იქნა მზე, რა იქნა სინათლე, რა იქნა მთაწმინდის მთვარე, გაძარცვული პატარა ნუში?—ცრემლები ღაპაღუპით ჩამომივიდა, ბოლმით გავივსე, გავიბერე,—გამიშვით, ზეგით გამიშვით, სული მეხუთება, მზე მინდა, სინათლე მინდა, სიცოცხლე მინდა. აიღეთ ეს რაღაც ზევიდან, რომ დამწოლია და სულს მიხუთავს. ძალღონე მოვიკრიბე, მაგრამ ამაოდ, ამ უჟმურს რას მოვერევი. ზევიდან ლოდივით მაწევს. წინ მივიწევ. გარშემო კვლავ სიბნელეა. გულამომჯდარი ვსლუკუნებ და მიწის ქვეშ გზას მივიკვლევ. მივდივარ და მივიჩქარი. სინათლესა და მზეს ვეძებ. თვალი სიბნელეს შეეჩვია, გული—დარდს...

— ეს ვინ არის?—წამოვიძახე და ჩემსავით მოწანწკარე წყაროს შევეჯახე.

— ნელა, ლამის წამლეკო!

— ვინა ხარ? აქ რა გინდა? სიბნელის არ გეშინია?—მივაყარე კითხვები.

— სოლოლაკის პატარა წყარო ვარ!

— აქ რამ მოგიყვანა?

— უბედურებამ, სოლოლაკში ვებერთელა სახლი ააშენეს, მე კი თავი გადამიღესეს.

— შენ ვინღა ხარ?—მივუბრუნდი მეორეს.

— ვერის წყარო ვარ, ჩემს ადგილზე ბანკი ააშენეს და მე სათავე მომიშალეს.

— შენ კი ვერ დაამშვენებდი ბაღს?

— ეჰ, აბა რა ვიცი, ადამიანებს განა ჩვენი დარდი აქვთ?

— თავის დარდი უნდა ქონდეთ, თავის საკეთილდღეოდ გამოგვიყენონ.

— შენ ვინღა ხარ?—მივუბრუნდი ახალ ხმას.

— ოპერის შენობის წინ ჭავჭავაძიანთ წყარო რომ იყო, ის გახლავარ. ბებერი, მრავლის მოწამე წყარო.

— რაღა, რას გვერჩიან, თბილისში რაც წყაროებია განა ყველა უნდა მოსპონ?

— ხედავთ, რამდენმა მოვიყარეთ თავი, განა ეს ადამიანებისათვის კარგია? ჩვენც ავდიდდებით, გავზულუქდებით, ვინ იცის, რამდენ სიბოროტეს ჩავიდენთ!—ბებერი წყაროს სიტყვებმა თავბრუ დამახვია, თავი მეტკინა, გულმა კვნესა დამიწყო. ავყვირდი:

— არ მინდა ამდენი წყალი! ბევრ წყალს უბედურება მოაქვს. პატარა წყარო ვარ და პატარა წყაროდ მინდა დავრჩე. არ მინდა ბოროტი ვიყო. ბოროტება სიხარულს ართმევს ყველაფერს. სიხარული მინდა, სიყვარული მინდა, სიცოცხლე მინდა! მზე და სინათლე მინდა,—ვყვირი და ვტირი მე, მაგრამ გაიგონებს ვინმე ჩემს ტირილს?!



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰანოიში სასახლე შენდება

სკოლაში ამბავი მოვიდა—საკონსერვო ქარხანაში დიდძალი ხილი მოუტანიათო და მუშების დასახმარებლად პიონერებმა შაბათობა მოაწყესო. ეს რომ ოქტომბრელებმა შეიტყვეს, დაირაზმნენ და ქარხნისაკენ გასწიეს.

ალაყაფთან გუშაგი შეეგებათ:

— ვისთან მიდიხართ?

— ვისთან და, სამუშაოდო!—ყველას ნაცვლად რიხიანად უპასუხა გოჩამ.

გუშაგს ჯერ გაეღიმა, შემდეგ ოქტომბრელებს ალერსიანად გადახედა და უთხრა:

— მიდით, მიდით, საქმე თქვენთვისაც მოიძებნებაო.

მართლაც, ლია, ნანა, დათო, მერაბი და სხვა ოქტომბრელები მარდად ახარისხებდნენ ვაშლსა და კომშს. შემდეგ კი პიონერებთან ერთად მუშებისათვის კონცერტი გამართეს.

მეორე დღეს ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბის წევრებმა სკოლის დერეფანში წითელი ქსოვილი გააკრეს. მასზე ეწერა: „გუშინ საკონსერვო ქარხანაში ასი მანეთი გამოვიმუშავეთ. ეს თანხა მთლიანად შეგვაქვს ოპერაცია „სოლიდარობის“ ფონდში.“

ამ საზეიმო ამბის გამო მიტინგი გაიმართა. კომკავშირელებმა და პიონერებმა ოქტომბრელებიც შეაქეს. ასე თქვეს:—რა ყოჩაღები ყოფილანო!

გახარებული ოქტომბრელები ხატვის კაბინეტში შეიკრიბნენ. კარგა ხანს ქალალდის დიდ ფურცლებს ჩაკირკიტებდნენ. იცით, რას ხატავდნენ? ვიეტნამელი თანატოლების პიონერთა სასახლეს, რომელსაც საბჭოთა ახალგაზრდობა აშენებს.

პიონერთა ოპერაცია „სოლიდარობა“ ამ საქმეს ეძღვნება. სამტრედიის მე-3 საშუალო სკოლის ოქტომბრელების მიერ შაბათობაზე გამომუშავებული თანხაც ამ მშენებლობის ფონდს შეემატა.

ოპერაცია „სოლიდარობაში“ უთუოდ შენი სკოლის პიონერებიც მონაწილეობენ. შაბათობის დროს ოქტომბრელებიც ამოუდექით მათ მხარში!

თქვენი წვლილი შეიტანეთ ჰანოის პიონერთა სასახლის მშენებლობაში!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიკი

კ. გოგიაშვილი

რომ გვაჩუქეს ლეკვი მიკი,
მუშტისხელა იყო იგი.
გაუხარდა მთელს ჩვენ ოჯახს,
კუდი ჰქონდა ერთი გოჯა.
ბაჯბაჯებდა ნელა, ნელა,
საყვარელი ცუგრუმელა.
გადიოდა დრო და ხანი,
მოემატა სიგრძე—განი...
რომ ვიჯექით ერთხელ წყნარად
მიკიმ ყველა გაგვახარა:
მოიფხანა თათით კეფა,
დაიღრინა, დაიყეფა!
ახმაურდნენ ზურა, გოჩა,
ლეკვს შესძახეს:—ყოჩაღ! ყოჩაღ!—
წამსვლელს, მომსვლელს, ზურაბს, მერაბს
ერთნაირად უყეფს ყველას.

მე და ჩემი მურა

ნუნუ კერესელიძე

მე იმისთანა მურა მყავს,
ავ თვალს არ დაენახვება,
სადაც წავალ და წამოვალ,
კუდის ქიკინით დამყვება.

აი, ახლაც ბანზე ვზივარ,
თუმცა გახდა ცხრა საათი,
აქეთ – მე და იქით—მურა,
გვაქვს ბჭობა და მასლაათი.

აქეთურზე, იქითურზე,
მზეზე, მთებზე, ცისკიდურზე,
ვარსკვლავებზე, ღამეებზე,
მარადიულ რამეებზე.

ნახატები **მანანა მორჩილაძისა**

ორ ლიმს ათი წიწილა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზია ხეთაგური

ზღაპარი

ერთ პატარა მოედანზე კვერცხები გამოეტანათ გასაყიდად. ათი კვერცხი ერთი წიწილის ფასი იყო. იქვე დედაკაცი წიწილებს ჰყიდდა. ერთ წიწილას ათი კვერცხის ფასი ედო, ერთი ქათამი კი ათი წიწილის ფასად იყიდებოდა.

გამოიარა ერთმა კაცმა და ათი კვერცხი იყიდა. როგორც კი კვერცხები ბადურაში ჩააწყო, წკაპ, წკაპ და... ათი კვერცხიდან ათმა წიწილამ გამოყო თავი. გაბრაზდა კაცი, ეს რა ძველი კვერცხები მოუყიდიაო და, გამყიდველს თავისი ფული უკან მოსთხოვა.

გაიხარა გამყიდველმა; მე კვერცხები გავყიდე, ახლა მათ ნაცვლად ათ წიწილს მივიღებ და მოგებაც დამრჩებაო. მაგრამ არც მყიდველი იყო უჭკუო და გამყიდველს ათი წიწილის ფასი მოსთხოვა.

— როგორო, — გაბრაზდა გამყიდველი, — პირიქით, შენ უნდა დამიმატო ფული, თუ გინდა რომ ეს წიწილები სახლში წავიყვანოო.

— ვერ მოგართვიო, — იუარა მყიდველმა — მე კი არა, შენ უნდა დამიმატო ფული და წიწილებს დაგიტოვებო.

ატყდა ერთი დავიდარაბა, ვერა და ვერ მორიგდნენ. ერთსაც ათი წიწილის ფასი უნდოდა ათ კვერცხში და მეორესაც. ამასობაში წიწილები დაიზარდნენ და ვარიკებად იქცნენ. ახლა ვარიკების ფასი მოსთხოვეს ერთმანეთს. კიდევ იჩხუბეს, იდავეს და ვარიკები დედლებად იქცნენ და მერე დედლების ფასი მოესურვილათ.

ამასობაში ეს დედლებიც დაკრუხდნენ, აკაკანდნენ და კვერცხები დადეს. ბოლოს, მოჩხუბრებმა კვერცხები თანაბრად გაიყვეს და როგორც იქნა მორიგდნენ.

ნახატი ზაურ დეისაძისა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მზე შინ შემოდის

ტარიელ ხავთასი

გაზაფხულდა,— სიხარულით
ვაზს ცრემლები სდის.
მზე შინა და მზე გარეთა,
მზე შინ შემოდის.
ახასხასდა ველზე მოლი,
მოლზე ნამი კრთის.
მზე შინა და მზე გარეთა,
მზე შინ შემოდის.

ბარში მორბის, მოჩუხჩუხებს
ნიაღვარი მთის.
მზე შინა და მზე გარეთა,
მზე შინ შემოდის.
გახსენ კარი, ცა-ფირუზი
სიოს ფრთებზე თრთის.
ჩემი ტურფა საქართველოს
მზე შინ შემოდის.

ბუდეები

გიორგი გიგაური

სერზე ია ამოსულა
და მერცხლებიც მოფრენილან,
ერდოები,
აივნები
ბუდეებით მოფენილა.
ბუდეები,
ბუდეები,
მოძახილი ჩიტუნების:
— ფისო, ჩქარა გაგვეცალე,
მზაკვრულად ნუ იყურები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცისარტყელას საქანელა

გივი ჭიჭინაძე

აბა, დელა,—ზღაპარელა!
აქანავდა მთა და ველად
შვიდნაქარგა ცისარტყელა,
ცისარტყელას საქანელა.
ზედ ვინ მსხდარან?
ბურატინო,
წითელქუდა, ჭანჭიკელა,
ანა, ნინო, ჩიპოლინო,
კახა, ბექა,
ჯარჯი, ლელა.
— ცანგალა და გოგონები!—
რა სიმღერა, რა ტაშია!
ცაში როგორც ტოროლები
მღერიან და ფრთასა შლიან:
— აბა, დელა, —ზღაპარელა!
სხივებს ფანტავს მთა და ველად
შვიდნაქარგა ცისარტყელა,
ცისარტყელას საქანელა.

გაზაფხული

ნოდარ შამანაძე

ტყეში მივალ, მივაბიჯებ,
ვეძებ, ვეძებ ენძელას.
განა მართლა ენძელას?
ყანჩას ვეძებ ფეხგრძელას.
განა მართლა ყანჩას ვეძებ,
იას ვეძებ თვალღიას.
განა მართლა იას ვეძებ,
ვეძებ კურდღლის ბაჭიას.
ბუჩქის ძირას ია ვნახე,
იქვე ვნახე ენძელაც,
ბაჭია კი დამეძალა,
ძისი ნახვა მეძნელა.
ბაჭიასაც შევხვდი ბოლოს,
არ ჩანს ყანჩა, არ ჩანს!
— ყანჩას ტყეში ვერ შევხვდები,
ტბაში არის ყანჩა.

ნახატები **სოფიო კინწურაშვილისა**

ყაზახეთის სსრ

ეკითხეთ ჩვენი საუბარი

კურდღელი

ტ. გერდიაროვი

უცებ ფანჯარაზე დაბოგრთხალმა
კურდღელმა სერი ბიბინა—
სულმოუთქმელად ერთ წამში,
სკუჯ-სკუჯით გადაირბინა.
როცა მოსვლა გაბედა,
გაშრა—ფარჩხილებასრი ფსაჯნია;
თურმე მდევარი ეოფილა
მისიეე ციცქნა ბაჯია.

გაგაფხული

სიჩუმეში—ღამით, გვიან,
ხაქმიანობს ვიღაც თითქოს,
ძილს არ აცლის ადამიანს
იდუმალი კაკუნითო.
ფანჯარაში გადვიხედე
და წამს მივხვდი—
რა სმაც იყო:
სახურავზე გაზაფხულის
წვიმა აყდერებულიყო.

თარგმანი
ანზორ აბულაძისა

ძ ი ლ ი

ერმაკ უტეტლეროვი

— გძინავს? — ოთახში შემოსელისთანავე იკითხა პაპამ.

— არა, ვერ ვიძინებ!—უპასუხა არმანმა.

— დაითვალე?—ჰკითხა პაპამ.

— დავითვალე, არ მშველის.

— დაკარგულა ეგ შენი ძილი და ეგ არი!

— განა ძილი იკარგება?

— რა თქმა უნდა.

— მე რა ვქნა ახლა?!

— უნდა მოძებნო,—ღიმილით უპასუხა პაპამ,—აღექი, წავიდეთ, მოვძებნოთ, სადმე დაიმალებოდა!

ეზოში გამოვიდნენ. შუადღის მზე აუტანლად აცხუნებდა. პაპა ფარდულთან შედგა:

— ნახე შეშის უკან!—თქვა პაპამ,—იქნებ იქაა!

არმანმა საყადელს იქით ჩაიხედა. არაფერი არ ჩანდა.

— ახლა კი მივხვდი!—თქვა პაპამ,—ნაპობში დაიმალებოდა. რომელში, არ ვიცი, იქნებ ამაშია? ნუერიანსა და დაფუღუროებულ ნაპობში იოლად შეძვრებოდა,—ცული მოიტანე! გავაპოთ ნაპობი.

არმანმა ფარდულიდან ცული გამოარბენინა და პაპამ ერთი ხელის მოქნევით გააპო ნაპობი.

— ნეტავ, სად გადაიმალა!—ჩაილაპარაკა პაპამ,—მთელ შეშას დავაპობთ და მაინც ვიპოვით. შენ მხოლოდ დააწყე.

პაპა შეშას ნაპობ-ნაპობად ჩეხავდა, არმანი

ლ ი

კი ფარდულში ეზიდებოდა.

— არ არი!—ჩაილაპარაკა ბოლოს პაპამ, როდესაც უკანასკნელი ნაპობიც გაჩეხა,—იცი, მე ვფიქრობ, უთუოდ ბაღში დაიმალებოდა. აიღე ვედრო და, მოდი, მაგ შენს ძილს წყალი გადავასხათ.

„რა სერირი იქნება,—ძილს წყალს რომ გადავასხამთ".—ფიქრობდა ბიჭი. არმანმა პაპასთან ერთად თვითეულ ბუჩქსა და ხეს წყალი დაუსხეს, თუმცა არცერთი მათგანის ქვეშ არ აღმოჩნდა ძილი.

— კმარა,—თქვა პაპამ,—ტბაზე წავიდეთ, სხვაგან სადღა იქნება, ალბათ იქ არის!

როდესაც ტბის ნაპირს მიუახლოვდნენ, მზე უკვე ჰორიზონტისაკენ იხრებოდა. არმანმა ტანთ გაიხადა, წყალში შეეიდა, იყურყუმელავა, იყურყუმელავა, ნიჟარის მეტი კი ვერაფერი იპოვა.

ბოლოს შინ დაბრუნდნენ. არმანმა ახლალა იგრძნო, რომ ძლიერ დაღლილიყო.

— პაპა, იცი რა, მომბეზრდა ძილის ძებნა. წავალ, ცოტას დავისვენებ.

არმანი შეძვრა საწოლში და თვალები მილულა.

— მომისმინე!— უთხრა პაპამ,—იქნებ ძილი საწოლის ქვეშაა? ჰა!..

არმანს რატომღაც ხმა ალარ გაულია. პაპა არმანისაკენ დაიხარა და მისი მშვიდი სუნთქვა შეამოესმა.

— აპაა!—ჩუმად ჩაილაპარაკა მან,—ძილს თურმე სასთუმალზე სძინავს!

თარგმანი **იზა გაღლავაძისა**

ხეხლრ

მუზაფარ ალიმბაევი

შუადღე [illegible]
ძალზე [illegible]
სოფლის ბოლოში უეცრად
ანდროს სურნელი მეცა.

ჰო, სუნი. მაგრამ რა სუნი!
მიღიტინებდა ცხვირში...
რაღაც ვიფიქრე... შეეხედი,
ვერ გამებედა შიშით...

სუნმა დამათრო, გამთანგა,
მსურდა გაუცლოდი ბაღჩას.
წინ რომ გადაეფარა ნაბიჯი,
გული უკანვე დამრჩა.

გავბედე; შევხტი ღობეზე,
ვიღაცამ მტაცა ხელი,
ძირს ჩამათრია... რა ხდება?
თავზე მადგია მცველი.

ხელი ჩამბღუჯა, მომტაცა
ჭილოფის ფართო ქუდი,
თანაც ეკრილი დაიწყო:
— ქურდი გავიგრე, ქურდი!

თარგმნა **კოტე ავალიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

უზბეკეთის სსრ

ჰასანა და ჰუსანა

მირმუხსინი

ჰასანა და ჰუსანა ტყუპები არიან. კაი ბიჭი ხარ და, გაარჩიე—რომელი რომელია.

— ჰეი, ჰასან! ჰეი, ჰუსან!—დაუძახებს ხოლმე ბაბუა შვილიშვილებს, მაგრამ სულ მუდამ ეშლება: ჰასანას ჰუსანას ეძახის, ჰუსანას—ჰასანას.

ანკი, რა გასაკვირია,—ბაბუა სოფელში ცხოვრობს და იშვიათად ნახულობს შვილიშვილებს.

ერთხელაც, ჩამოვიდა ბაბუ ქალაქში, დაჯდა, დაისვა აქეთ-იქით მუხლებზე ძმები და ისეთი ზღაპარი მოუყვა, მსგავსი რომ არ გაეგონათ. დილით კი შვილიშვილებიანად სოფელში წასასვლელად გაემზადა.

— ახლა ხომ მაინც აღარ შეგეშლება, რომელს რა ჰქვია? ღიმილით თქვა დედამ.

— აჰ, აწი რავაღა შემეშლება!—დარწმუნებით თქვა ბაბუამ.

სოფელში რომ ჩავიდნენ, ბებია ეზოშივე გამოეგება შვილიშვილებს.

— აი, ეს ჰასანაა, ეს კი—ჰუსანა!—გააცნო ბაბუამ ძმები და, რაღა თქმა უნდა, ისევ აერია: ჰასანაზე ჰუსანა თქვა, ჰუსანაზე—ჰასანა.

— სულ ერთია,—რომელი რომელია!—თქვა ბებიამ და შვილიშვილებს ხმელი ნუშით, გარგარისა და კომშის ჩირით გაუმასპინძლდა. მერე ორივეს თითო აცმა ნუშისგული ჩამოჰკიდა ყელზე.

საღამოს, ძილის წინ, ბაბუამ ისევ უამბო ზღაპარი ტყუპებს, და, თქვენ წარმოიდგინეთ, ეს ზღაპარი წინადღისაზე უფრო საინტერესოც კი იყო.

დილით ბაბუა ადრე ადგა, მძინარე შვილიშვილებს თვალი გადაავლო და გაოცებით თავი გადაიქნია:

— პირველად ჰხედავს ჩემი თვალები, ერთი ბიჭი რომ მეორეს ასე ჰგავდეს!

მაგრამ თურმე არც ისე ჰგავდნენ ერთმანეთს: ერთი მზის ამოსვლისთანავე წამოხტა ლოგინიდან და პირის დასაბანად გაიქცა; მეორე კი შუადღემდე გორაობდა ლოგინში. როდის-როდის ადგა და პირდაპირ ღუმელს მიუჯდა.

— წადი, შენც დაიბანე ხელ-პირი!—ურჩია ბებიამ.

— ეეჰ!—უგერგილოდ ჩაილაპარაკა ბიჭმა.

— თქვენ რა იცით,—თქვა ძმამ,—მას ყოველთვის დედა ჰბანს ხელ-პირს.

— აი, თურმე რა ყოფილა!—გაიკვირვა ბაბუამ და იმას მიუბრუნდა, მზისამოსვლისთანავე რომ წამოხტა და პირი დაიბანა:

— შენ რომელი ხარ, ჰასანა თუ ჰუსანა?

— მე ჰასანა ვარ! ჰუსანა ეგაა!

რომ ისაუზმეს, ბაბუა ადგა და ხალათი მოიცვა:

— აბა, შვილებო, ახლა მინდორში გავიდეთ და გუზაპაია[1]) შევაგროვოთ.

— მე არ წამოვალ!—თქვა ერთმა. მეორე კი პირიქით—გახარებული წამოვარდა ზეზე.

— შენ რომელი ხარ?—ჰკითხა ბაბუამ.

— ჰასანა ვარ!

— აჰ, ჰო, მართლა... ჰასანა ხარ!—თქვა ბაბუამ,—რა გაეწყობა, ჩვენ წავიდეთ. ჰუსანა კი იჯდეს შინ!

მაგრამ ჰუსანას მარტო დარჩენაც შეეზარა და, ბოლო-ბოლო, ისიც გაჰყვა ძმას და ბაბუას მინდორში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიაბიჯებდნენ ზამთრის სუსხში და, კაცმა რომ თქვას, ცოტა კიდეც სციოდათ. მაგრამ ბაბუა ისეთ ზღაპარს მოჰყვა გზაში, მსგავსი რომ არ მოესმინათ.

ზედ შუაგზაზე კარგა მოზრდილი ქვა ეგდო. ერთმა ძმამ გადააბიჯა და გაიარა, მეორემ დაიკაპიწა და გვერდზე მიაგორა,—შემთხვევით ვინმე არ წამოედოსო.

— მოიცა, შენ რომელი ხარ?—ჰკითხა ბაბუამ.

— ჰასანა ვარ!

— აჰ, ჰო, მართლა, ჰასანა ხარ!

ამასობაში ბამბის ვეებერთელა პლანტაციებსაც მიადგნენ.

— აბა, შვილებო, თქვენ იცით და თქვენმა ვაჟკაცობამ! თქვენ გუზაპაია მოაგროვეთ, მე კი აგერ ნაცნობთან ჩავირბენ და ორთვალას მოვიყვან.

— ეეჰ!—თქვა ჰუსანამ. ჰასანა კი მაშინვე შეუდგა საქმეს.

ცოტა ხანი გავიდა და ძმები აღარც კი ჰგავდნენ ერთმანეთს: ერთი სიცივისაგან სულ გალურჯდა და კუ რომ თავის ბაკანში შეჰყოფს ხოლმე თავს, ისე ჩარგო კისერი პალტოს საყელოში. მეორე მუშაობისაგან ისე გაწითლდა და გახურდა, სულ გაიხადა პალტო.

— მომეცი შენი პალტო,—მუდარით უთხრა ჰუსანამ ძმას,—გავიყინე! მალე მაინც დაბრუნდებოდეს ბაბუა!..

— მიდი, ხელი გაანძრიე და გათბები!—ურჩია ძმამ, მაგრამ პალტო კი მისცა.

— ეეჰ!—თქვა ისევ ჰუსანამ.

ბაბუა რომ დაბრუნდა, ერთი ძმა ორ პალტოში დახვდა, მეორე—სულ უპალტოო. ჯერ გაუკვირდა, მერე იმას მიუბრუნდა, უპალტოოდ რომელიც იყო:

— შენ ჰასანა ხარ თუ ჰუსანა?

— ჰასანა ვარ!

— ააჰ, ჰო, მართლა, ჰასანა ხარ! ახლა კი დავიხსომეს!

მერე დატვირთეს ორთვალა ხმელი გუზაპაიათი და ზედ ჰუსანაც შემოსვეს. ჰასანა და ბაბუა კი ფეხით გაჰყვნენ ორთვალას.

„აი, აი,—ფიქრობდა ბაბუა გზაში,—ამ ხნის კაცი ვარ და, ჯერ არ მინახავს, ერთი ძმა რომ მეორეს არა ჰგავდეს“.



---

[1]) გუზაპაია—ბამბის ხმელი წკირები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნესვები

ილიას მუსლიმი

მთელი გაზაფხული ბალჩაში ვტრიალებდით,
ბალჩას ხან რა უნდა და ხან რა უნდა...
და აჰა, ნესვები მზესავით ბრიალებენ!
— ახლა კი აირჩიეთ!—გვითხრა ყარაულმა.

ზოგი ფოთლებში შემალულა,—
იქნება. ვერ მოგვკრანო თვალი;
ზოგი ზედ ღობეზე შეპარულა,
ზოგი ბურთივითაა მრგვალი;
ზოგი იმხელაა, კარებშიც არ შევა,
ზოგი გრძელია და ჭრელია ნახევრად
რავარი ბიჭი ხარ, არ გინდა გარჩევა—
რომელი ტკბილია და რომელი მკვახეა.

ზამირა გაჰყვირის:—მალე!
აუჰ, რა ნესვია, მოდითო!
ქარიმმა:—ჯობიაო მწვანე,—
რაღა ეგ ყვითელი მოვწყვიტოთ!
დილბარმა:—ვამბობ და არ გჯერათ,
მიკვირსო საქციელი თქვენი—
რად უნდა ამდენი არჩევა,
ყველაზე ტკბილიაო ჭრელი.

დარაჯი ილიმება, თანაც
ჩვენსკენ მოაბიჯებს დინჯად:
— აბა, მომაწოდეთ დანა!
— მოწყვიტეთ, რომელიც გინდათ!

გაგვიჭრა ყვითელი და... იფ!
ჭრელი გაგვიჭრა და... გადაგვრია!
მწვანე გაგვიჭრა და... მწიფს—
მარტო თაფლია და შაქარია!

თარგმნა **იორამ ქემერტელიძემ**

მიხო

ნოდარ კეკელიძე

— მიხო!—გასძახის დედა ეზოში თმახუჭუჭა, თვალებჟუჟუნა ბიჭს.

— აქა ვარ, დედი!—გამოხედავს მიხო დედამისს.

— აგრემც დამირჩები, წყალი მომიტანე, შვილო!

— ახლავე, დედი!

მიხოს მეორედ თქმა აღარ სჭირდება: ჩიკორივით დატრიალდება, თავიდან სახედარს გამოიყვანს, შეკაზმავს, საკოკეებს დაამაგრებს, კოკებს სააკოკებში ჩადგამს და—„აცე ვირო!"—მიდის წყაროსკენ მიხო ბიჭი. მიდის და მიღიღინებს.

— საით გაგიწევია, მიხოო?—ეკითხებიან ღობეზე გადმომდგარი მეზობლები და თან სახეებს ხელებით იჩრდილავენ.

— წყალზე, მივალ, წყალზე!—უკვე მერამდენედ პასუხობს ბიჭი, ცნობისმოყვარე დედაკაცებს. გულში კი სხვას, სულ სხვას ფიქრობს: ნეტავ რას მეკითხებიან, ვერ ხედავენ, სადაც მივალ?.."

ბიჭი რომ წყალს ამოიტანს, ახლა შეშაა დასაპობი, დასაღაგებელი, ძროხაა მისახედი... მიხომ კარგად იცის, რომ დედამისი ყველაფერს ვერ გასწვდება, თუ არ წაეხმარა, და ბიჭიც თავს როდი იზოგავს, აკეთებს ყველაფერს, რაზეც ხელი წაუწვდება.

მიხოს მამა კოლმეურნეობაში საწყობის გამგედ მუშაობს და სახლისათვის ისე რიგად ველარ იცლის. დილით უთენია რომ გავა, შინ მოგვიანებით ბრუნდება. მიხო უკვე ლოგინში წევს, მაგრამ არ სძინავს, მამას ელოდება. იცის, როდის მოდის მამამისი შინ. დინჯად შემოვა, ქუდს მოიხდის, შუბლზე გადმოშლილ ქოჩორს უკან გადაიგდებს, საღამო მშვიდობისაო,—იტყვის და მერე უჩუმრად, ფეხაკრეფით მიხოს საწოლს მიეპარება, წაიხრება და ბიჭს შუბლზე ეამბორება.

— გენაცვალოს მამა, ჩემო ვაჟკაცო!—ჩაუგურგურებს და ახლა მაგიდისაკენ გასწევს, სადაც ვახშამია გაშლილი. მიხოს მამის ფერება გულს მაღამოსავით ედება და სიხარულით აღარ იცის რა ქნას...

ასეა ყოველთვის: მამა უთენია მიდის სამუშაოდ, მიხო შინა რჩება და დედამისთან ერთად ჯარასავით ტრიალებს. მიხოს სხვანაირად ვერც წარმოუდგენია. მაშ არა და, სურამელაშვილების ნათიასავით იქნება! ერთი მეტიჩარა, უხასიათო, უსაქმური გოგოა. პატარა რაღაცაზე აწუწუნდება, აღრიალდება: ეს მინდაა, ის მინდაა,—ფშლუკუნებს და აღარ დაადგება მის გაჩერებას საშველი.

მიხოს მასთან თამაში კი არა, ახლოს გაკარებაც არ უნდა. სულ იმას ცდილობს—ნათიას როგორმე არც დაენახოს, თორემ მორჩა: გამოყოფს მესერში პაპუა ცხვირს ნათია და გზად მიმავალ მიხოს მოსაბეზრებელ კითხვებს დააყრის:

— მიხო, სად მიხვალ? მეც წამიყვანე, რაა?

მიხო სდუმს, ცდილობს,—ხმა არ გასცეს, იქნებ როგორმე დროზე გაეცალოს მეტიჩარა გოგოს...

— მიხო! ენა დაგება, ბიჭო?—არ ისვენებს ნათია.—ხმა ამოიღე, ჰაა?

მიხოს მაგრად მოუკუმავს ტუჩები და მძიმედ მიაბოტებს ორღობეში. მიდის მიხო ბიჭი, მიდის და უცებ ცხვირწინ—ტყაპ,—ბურთი დასკუპდა.

— ბიჭო, მიხოო!—გამოსძახებს წიკვინა ხმით ნათია,—ვერ ხედავ, ბურთი რომ გადმომივარდა! მომაწოდე, ჩქარა!

ბიჭი ბურთს ვადაუგდებს და თავად უკანმოუხედავად გარბის.

— მიხო, ბიჭოო!—მისდევს მიხოს ნათიას ხმა.

ერთხელ მიხოს ნათიას დედა, დეიდა თამარი, ესტუმრა შინ.

— მიხო, გენაცვალე, ამ საღამოს ვერ მოიცლი, რომ ნათიასთან დარჩე?

ბიჭს ედგა ეცა, ახლა ესლა აკდა,—ამ კაპარჩხანა გოგოსთან ყურყუტი!

— საავადყოფოში უნდა ჩავიდე, მამამისი ვნახო და ვიდრე ამოვბრუნდები, მიმიხედე!—განაგრძობდა დეიდა თამარი.

— რატომაც არა, თამარ!—ჩაერია მიხოს დედა,—არ დაგზარდება!

„ოჰ, ნეტა ჩემს მაგივრად დედაჩემს რა აღაპარაკებს?"—ბრაზით გაიფიქრა მიხომ და დედამისს საყვედურით სავსე თვალები მიაპყრო.

...ახლა სხედან, პირისპირ, მაგიდასთან მიხო და ნათია და გასუსულნი ერთმანეთს თვალებით

ზომავენ. გარეთ კი ღამეა, კუნაპეტი, თვალჩაშავებული ღამე. საიდანღაც მოვარდნილი ქარაშოტი უგზო-უკვლოდ დათარეშობს აღმა-დაღმა. ხან ჩაძინებულ ხეებს დაეტაკება და შეათრთოლებს, ხან მაღლა აიჭრება და სახლის სახურავებს ააზრიალებს.

— ბრახ, ბრუხ! უუუ!—ისმის დროდადრო უჩვეულო ხმები.

— მიხო!—ჩაიჩურჩულა ნათიამ, თქვი რამე, რა ცხვირი ჩამოგიშვია?

„ოჰ, დაიწყებს ახლა და აღარ მომეშვება!“—გაიფიქრა მიხომ.

— მიხო იცეკვე, რაა?—უთხრა ნათიამ ბიჭს.

— არ ვიცი!—მხრები აიჩნია მიხომ.

— იცეკვე თორემ, ვიტირებ!—ტუჩი აიბზუა ნათიამ,—დედიკო მოვა და გაგიჯავრდება, ნათია რად ატირეო!

— უუ!—კვლავ აღმუვლდა სადღაც მგელი.

— ჩუ, მოიცა!—ტუჩებზე მიიდო თითი მიხომ, წამოდგა, სარკმელს აეკრა და სიბნელეს გაუსწორა თვალი.

— რა იყო, მიხო?—შეფიქრიანდა ნათია.

— მგონი ეზოში თვალებდაჭყეტილი მგელი დგას და აქეთ იცქირება!

— მგელი? — ხმა აუთრთოლდა ნათიას, — რა მინდაო?

— რაო და, მაგ სახლში ერთი მეტიჩარა, ზარმაცი და ჯიუტი გოგო ცხოვრობსო!

— მერე?

— მოვედი, უნდა წავიყვანოო!

— მიხო, რა იცის მგელმა, მე რომ მეტიჩარა ვარ, ჰა?

— ჰმ! შე სულელო, მგელმა ყველაფერი იცის, ისიც იცის, იმ დღეს ბებიაშენს სათვალე რომ გაუტეხე!

— მართლაა? აბა ჰკითხე, ის არ იცის, დედას რომ ახალთახალი კაბა დავუჭერი?

— იცი მგელო?—მიხომ სარკმლისაკენ გაიხედა, მერე ნათიას მიუბრუნდა და უთხრა,—ვიციო!

— აბა, ის თუ იცის, მურაბის ქილა რომ დავამტვრიე და ბებიას დავაბრალე?

— ეგეც იცის! მგელმა ყველაფერი იცის!

— ვაიი!—ღაყებზე მიიფარა ხელები ნათიამ,—მაშ უნდა წამიყვანოს?

— თუ კიდევ ცუდად მოიქცევი, წაგიყვანს, აბა რა!

— მიხო, შენი ჭირიმე, მაგ მგელს უთხარი, რომ ასეთი აღარასოდეს იქნება-თქო!

— კარგი, ვეტყვი!—თავი დააქნია მიხომ, ისევ სარკმელს მიაჩერდა და ჩაიღაპარაკა,—გაიგე მგელო, რა თქვა ნათიამ?

— რაო მიხო, რა გითხრა?

— გავიგეო და წავიდა!

— ჰმ!—ჩაეღიმა ნათიას,—რა კარგი მგელი ყოფილა! იცი მიხო, შენც კარგი ბიჭი ყოფილხარ. აი, ნახე, ხვალიდან მეც როგორი კარგი გოგო ვიქნები!

ნათიას მაღე ძილი მოერია, მთქნარება დააწყებინა. ღოგინში შეწვა და ჩასთვლიმა. მიხო ისევ მაგიდას მიუჯდა, ეშმაკური ღიმილით დასჩერებოდა მშვიდად მძინარე ნათიას და დარწმუნებული იყო, რომ ხვალიდან იგი ნამდვილად სამაგალითო გოგო იქნებოდა.

ნახატი **მანანა მორჩილაძისა**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლექსო

შოთა ქავთარაძე

უთენია დგება ლექსო,
ლუმელს შეშას უკეთებსო,
თანაც ისეთ ლექსებს ამბობს,
ვერვინ იტყვის უკეთესსო.

* * *

წიფლის ტყეში,
ზარმაც ბელებს
გვერდით უზის დედა დათვი:
ვინც ათამდე სწორად დათვლის,—
იმას—ერთი ჯამი თაფლი.

ვენერა კოხტაშვილი

* * *

აილანძა ბალი,
აბიბინდა კორდი,
და ზაფხული ნელა
მოაბიჯებს, მოდის.

ბზიკი და კოლო

თინათინ კვირიკაძე

ბზიკი ამბობს:—კოლო დამდევს,
კბენა უნდა უდავოდ,
საკოდავი, მე მასწავლის,
კბენა როგორ უნდაო?!

წვიმა

გედევან ძიძიკაშვილი

მოდის წვიმა ჟუჟუნა,
წვიმას ბოლო არ უჩანს
და მიღიმის ბაღიდან
გალუმპული ალუჩა.

მუსიკოსი

ავთანდილ გურგენიძე

ეს ლამაზი პიანინო
ჩვენი რუსიკოსია.
რა პატარა გოგოა და
უკვე მუსიკოსია.

ნახატი **მანანა მორჩილაძისა**

6 62/76

ეროვნული ბიბლიოთეკა
76055

ბავშვებო! დააკვირდით ამ ნახატს, შეძლებს თუ არა ძია ცხრაკლიტუდა თავისი სურვილის შესრულებას?

ნახატი **მიხეილ სოლოვიოვისა**

მთავარი რედაქტორი **მუხრან მაჭავარიანი**

სარედაქციო კოლეგია: **ანზორ აბულაშვილი, ედუარდ ამბოკაძე, კუკური გოგიაშვილი, ლეილა ერაძე, მაყვალა მრევლიშვილი, ჯიმშერ მუჯირი, გიორგი რობინიშვილი** (სამხ. რედაქტორი), **იორამ ქემერტელიძე** (ბ/მგ. მდივანი) **რობერტ ღარიბაშვილი, გივი ძნელაძე**

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

Издательство ЦК КП Грузии

საქ. ალკკ ცკ-ისა და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ჟურნალი. გამოცემის 50-ე წელი.

ყდაზე ნახატი **ზაურ დეისაძისა**

ტექრედაქტორი **ენდი ფერეთელი**

მისამართი: რედაქციის, გამომცემლობის, სტამბის—თბილისი, ლენინის, 14. ტელ.: მთ. რედაქტორის—93-41-30, 93-98-15; ბ/მგ მდივნის — 93-10-32, 93-98-17; სამხ. რედაქტორის —93-98-18; განყოფ. — 93-98-19; სამდივნოსი — 93-98-16.

გადაეცა ასაწყობად 24/II-77 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 15/IV-77 წ., ქაღალდის ზომა 60×90¹/₈. ფიზ. ნაბ. ფურც. 2,5, ტირაჟი 157.000. შეკვ. № 678. „Дила" № 5. на грузинском языке. ფასი 20 კაპ.